



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080141541435818

# 670

02 / მარტი / 2018 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის  
შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014  
წლის 11 სექტემბრის #189 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 38-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-14 და მე-15 მუხლის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 11 სექტემბრის #189 განკარგულებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისია (შემდგომში – „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახი დემეტრაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) ზაზა ნანობაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გელა გელაშვილი - კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

დ) კონსტანტინე გუგუშვილი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;


ე) ნატო თვალთვაძე – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;

ვ) გიორგი ლაცაბიძე - კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ზ) ვაჟა გურგენიძე – დამოუკიდებელი სპეციალისტი."

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'მ. მსაგ' (M. Mtsag), written on a piece of paper that is slightly tilted and has some irregular edges.

ლევან რაზმაძე